

დღგ-ს ჩათვლა უსასყიდლოდ მიღებულ საქონელზე N11119

ფაქტობრივი გარემოებები

დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებულმა პირმა ასევე დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირს უსასყიდლოდ მიანოდა საქონელი, შესაბამისად კომპენსაციის თანხა განსაზღვრული არ არის

მიმწოდებლის მიერ გამოწერილია საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, რომელშიც საქონლის საბაზრო ფასის მიხედვით ასახული დღგ სრულად იქნა ჩათვლილი საქონლის მიმღების მიერ

შეფასება

სსკ-ის:

-161-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციაა საქართველოს ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქონლის/მომსახურების კომპენსაციის გარეშე მიწოდების შემთხვევაში დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასით (გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების ჩათვლით) დღგ-ის გარეშე.

-175-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი ვალდებულია (გარდა საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის შემთხვევისა, როდესაც თითოეული ოპერაცია იბეგრება დღგ-ით) საქონლის/მომსახურების მიმღების მოთხოვნისას მოთხოვნიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა გამოწეროს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და წარუდგინოს იგი საქონლის/მომსახურების მიმღებს ამ მუხლის მე-2 ნაწილის პირობების დაცვით.

- 105-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითოს რეკლამის მიზნით, უსასყიდლოდ გავრცელებულ, დამოუკიდებელი სამომხმარებლო მასხაიათებლების მქონე საქონელზე დარიცხული დღგ-ის თანხა, თუ ამ ოპერაციაზე არ არის გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა

ლონისძიებები

პირთა ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ ხდება

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დღგ-ს გადამხდელებს შორის საქონლის მიწოდების შემთხვევაში, ამ ოპერაციის მიხედვით მათ შორის ანგარიშსწორების მიუხედავად, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა და მასში ასახული დღგ-ს ჩათვლა, სსკ-ით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით, მართლზომიერია

- იგივე მიდგომა გავრცელდება მომსახურების გაწევის შემთხვევაში.
- სიტუაციური სახელმძღვანელო ვრცელდება მხოლოდ დღგ-ის საგადასახადო ვალდებულებებზე.
- სიტუაციური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2019 წლის 15 მაისის მდგომარეობით მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

ანოტაცია

უსასყიდლოდ მიღებულ საქონელზე დღგ-ის ჩათვლის № 11119 სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს უსასყიდლოდ მიღებულ საქონელზე/მომსახურებაზე დღგ-ის ჩათვლის საკითხს.

წარმოდგენილი სიტუაციური სახელმძღვანელოს მიხედვით, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულმა პირმა ასევე დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირს უსასყიდლოდ მიანოდა საქონელი, რაზეც გამოწერა და საქონლის მიმღებს გადასცა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

მიმწოდებელმა გამოწერილ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში გადასახდელი დღგ ასახა საქონლის საბაზრო ფასის მიხედვით, რაც შესაბამისობაშია სსკ-ის 161-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილ დასაბეგრი ოპერაციის თანხის განსაზღვრის წესთან, ხოლო საქონლის მიმღებმა სრულად ჩაითვალა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში ასახული დღგ.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის:

-161-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციაა საქართველოს ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქონლის/მომსახურების კომპენსაციის გარეშე მიწოდების შემთხვევაში დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება საქონლის/ მომსახურების საბაზრო ფასით (გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების ჩათვლით) დღგ-ის გარეშე.

-175-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი ვალდებულია (გარდა საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის შემთხვევისა, როდესაც თითოეული ოპერაცია იბეგრება დღგ-ით) საქონლის/მომსახურების მიმღების მოთხოვნისას მოთხოვნიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა გამოწეროს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და წარუდგინოს იგი საქონლის/მომსახურების მიმღებს ამ მუხლის მე-2 ნაწილის პირობების დაცვით.

- 105-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითოს რეკლამის მიზნით, უსასყიდლოდ გავრცელებულ, დამოუკიდებელი სამომხმარებლო მახასიათებლების მქონე საქონელზე დარიცხული დღგ-ის თანხა, თუ ამ ოპერაციაზე არ არის გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დღგ-ს გადამხდელებს შორის საქონლის მიწოდების ან/და მომსახურების გაწევის შემთხვევაში, ამ ოპერაციის მიხედვით მათ შორის ანგარიშსწორების მიუხედავად, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა და მასში ასახული დღგ-ს ჩათვლა, როდესაც დაკმაყოფილებულია დღგ-ის ჩათვლისათვის სსკ-ით დადგენილი პირობები, მართლზომიერია.

შესაბამისად, განსახილველ პირთა ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ ხდება.